ცირკულარული წერილი კონფერენციის მონაწილეთა საყურადღებოდ!!!

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო კონფერენციის - „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-2“
მონაწილეთა საყურადღებოდ!

პატივცემულო კოლეგებო,
გაცნობებთ, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენციის - „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-2“ - საორგანიზაციო კომიტეტმა მოიპოვა აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის გრანტი (20000 ლარი). აღნიშნული თანხით დაფინანსდება კონფერენციის მასალების (1. პროგრამა და აბსტრაქტები; 2. კონფერენციის მასალები) პუბლიკაცია; ასევე კონფერენციის 300-მდე მონაწილის კვება (ხემსი, მსუბუქი სადილი) 24-25 ოქტომბერს. გათვალისწინებულია ექსკურსია ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში (ოქროს განძი).
გთხოვთ, 2014 წლის **5 სექტემბრამდე** გამოგვიგზავნოთ თქვენი მოხსენების **აბსტრაქტი ინგლისურ ენაზე** შემდეგ მისამართზე, **ელფოსტა:** marinagiorgadze@bsu.edu.ge **(მიაქციეთ ყურადღება, ელფოსტა შეცვლილია!!!)** და ქვემოთ მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადმორიცხოთ **რეგისტრაციის თანხა - 50 (ორმოცდაათი) ლარი.**

საბანკო ანგარიში:
საიდ. კოდი - 245 428 158
მომსახურე ბანკი - ს.ს. ,,ბაზისბანკი“
ბანკის კოდი - CBASGE 22
ა/ა - GE69BS0000000000133557

გთხოვთ, გადმორიცხვისას გარკვევით მიუთითოთ კონფერენციის დასახელება-„ჰუმანიტარული მეცნიერებები 2“ და მონაწილის სახელი და გვარი:

გთხოვთ, ა.წ. **5 სექტემბრამდე** მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. გჭირდებათ თუ არა სასტუმრო ბათუმში (რომელ რიცხვებში და რა პირობებით: 1-ადგილიანი, 2-ადგილიანი, 3-ადგილიანი ნომერი...); საორგანიზაციო კომიტეტი იზრუნებს თქვენთვის სასტუმროს ნომრის დაჯავშნაზე (2-ადგილიანი ნომრის სავარაუდო ღირებულებაა 100 ლარი);
2. აპირებთ თუ არა სხალთაში ექსკურსიაზე წასვლას 26 ოქტომბერს (08.00სთ-20.00 სთ); ექსკურსიას ორგანიზებას უწევს „ენ-ტური“, ღირებულება შეადგენს ერთ პიროვნებაზე 35 ლარს (კვებით); თანხას გადაიხდით ადგილზე.

საერთაშორისო კონფერენციის,-„ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-2“,-
საორგანიზაციო კომიტეტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ელფოსტა: marinagiorgadze@bsu.edu.ge
ტელ.: 577 17 97 99; 599 56 36 49